7	მონიტორინგს მხოლოდ დადებითი მხარეები აქვს.		
8	მეთვალყურის მიმართ თანამშრომლებს ზოგჯერ პროტესტის გრძნობა უჩნდებათ.		
9	დეცენტრალიზებული სისტემა მართვის განსხვავებული ფორმაა.		
10	დეცენტრალიზებულ სისტემაში მონიტორინგი თვითკონტროლს ემყარება.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: ძირითადიბ.....

ბ. იგივეა, რაც მთავარი.

1. მოდელი
2. დამოკიდებული
3. თვითკონტროლი
4. გამოსწორება
5. მეთვალყურე
6. მეორეხარისხოვანი

ა. პირი, რომელიც რაიმე პროცესს აკვირდება, აკონტროლებს მას.

ბ. შედარებით უმნიშვნელო, ნაკლებად მნიშვნელოვანი.

გ. საკუთარი თავის კონტროლი, შემოწმება.

დ. სწორ გზაზე დაყენება, სწორი მიმართულების მიცემა.

ე. აქ: იგივეა, რაც ფორმა.

ვ. რაიმეზე ან ვინმეზე დაქვემდებარებული, ქვემოთ მდგომი.

2.4. უპასუხეთ კითხვას როგორ? და შეავსეთ უჯრები!

N		როგორ?
	შეხედულების მიხედვით ----->	შეხედულებისამებრ
1	დანიშნულების მიხედვით ----->	
2	ჩვეულების მიხედვით ----->	
3	დაპირების მიხედვით ----->	
4	წესის მიხედვით ----->	
5	ნების მიხედვით ----->	
6	სურვილის მიხედვით ----->	
7	ბრძანების მიხედვით ----->	

2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ჩემს ნათესავს ანაზღაურება ... დაპირებისამებრ მისცეს....

[დაპირებისამებრ მიცემა]

1. ხელმძღვანელი მუშას მალე ხელფასს [წესისამებრ გადახდა]
2. ის თავისი [სურვილისამებრ მოქცევა]
3. გთხოვთ, ეს დოკუმენტი [დანიშნულებისამებრ გაგზავნა]
4. საკითხი თქვენი [შეხედულებისამებრ გადაწყვეტა]
5. ეს ყმაწვილი სამსახურში [ჩვეულებისამებრ დაგვიანება]
6. ყველა და სამსახურში დილის 9 საათზე გამოცხადდა. [ბრძანებისამებრ მოქცევა]

2.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: ... უწესო ადამიანს სამსახურში ვინ გააჩერებს?!... [უწესო ადამიანი]

1.
[უშედეგო საქმე]
2.
[უსისტემო მართვამ]
3.
[უპასუხისმგებლო ადამიანმა]
4.
[სამეწარმეო საქმიანობას]
5.
[უნაკლო პროდუქტს]

2.7. ა) პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: მითამაშია, მიყიდია, გამისამართლებია, მიწარმოვებია!

ნიმუში:	მე გამიჭრია	ჩვენ გაგვიჭრია
	შენ გაგიჭრია	თქვენ გაგიჭრიათ
	მას გაუჭრია	მათ გაუჭრიათ

მე ჩვენ

შენ თქვენ

მას მათ

მე ჩვენ

შენ თქვენ

მას მათ

მე ჩვენ

შენ თქვენ

მას მათ

მე ჩვენ

შენ თქვენ

მას მათ

ბ) გამოთვებულ ადგილას ჩასვით უარყოფით ფორმაში: არ დაუთმია, ვერ შეუტყობინებია, ვერ მიუღიათ, არ გამიკონტროლებია, არ დახმარებია!

1. მეორე საამქრო ჯერ, ამიტომ შედეგებზე ვერაფერს მოგახსენებთ.
2. ქ-ნი თინა ცუდად მოქცეულა, თავის მეგობარს
3. მენეჯერს დირექტორისათვის პასუხი
4. მას და სიმართლე მაინც უთქვამს.
5. ფინანსური პრობლემა ჰქონიათ, ამიტომ ახალი თანამშრომლები

2.8. გამოთვებულ ადგილას ჩასვით თნდებულები: შორის, შუა, შუაში, შუაზე!

ნიმუში: მათშორის..... დიდის ხნის ურთიერთობაა.

1. მონიტორინგის წესებს ერთი განსაკუთრებით მომწონს.
2. არაფერ არ ვიყავი, მაგრამ მაინც დამიბარეს.
3. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება შეთანხმება ორ მხარეს
4. სამ კორპორაციას მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები იწყება.

5. მთის ორ სოფელს ასფალტიანი გზა ჯერ არ გაუყვანიათ.
6. ჩვენ რა ვართ, ბატონო, კარგად ამიხსენით?!
7. საქმე გაყავით და თანხაც თანაბრად შეგხვდებათ!
8. დირექტორსა და მის მოადგილეს კამათი გაიმართა.
9. მონიტორინგის სამსახურსა და ჩვენს განყოფილებას პრობლემა არასდროს ყოფილა.
10. ქალაქებს მანძილი 80 კილომეტრია, ამიტომ სატვირთო მანქანებიც დაგვჭირდება.

2.9. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სიტყვებით: ისე..., როგორც; ან: როგორც, ისე!

1. სამქროს უფროსმა გაიმართლა თავი, უდანაშაულო ბავშვმა.
2. წარიმართა საქმე, ეს მენეჯერს უნდოდა.
3. სუპერმარკეტი შეშინებული ხალხისაგან სწრაფად დაცარიელდა, ერთი პატარა ოთახი.
4. წავალ შენგან, სრულიად უცხო ადამიანი.
5. ხელმძღვანელმა გვითხრა, ჩვენც მოვიქცებით.
6. გარემოება მოითხოვს, გავყიდით პროდუქტს.
7. ჩემ მიერ შედგენილი ფინანსური დოკუმენტები ეწყო თაროზე, უპატრონო ნივთები.
8. მითხარით, მოვიქცევი და თქვენ მაინც გინდათ სამსახურიდან გამათავისუფლოთ?!

2.10. აავსეთ წინადადებები სიტყვებით: რა თქმა უნდა; რასაკვირველია!

ნიმუში: რასაკვირველია, აუცილებლად დავესწრები ხვალინდელ შეხვედრას.

ან: რა თქმა უნდა, მონიტორინგი სამართლიანობის პრინციპებს ეყრდნობა.

1.
2.
3.
4.

2.11. იპოვეთ შეცდომები და სიტყვები ამოწერეთ სწორად!

1. მონიტორინგის წესები, რომელიც შარშან მივიღეთ, ყველას ეხება.

.....

2. ჩემს წინააღმდეგ ხმას არავინ ამოიღებს.

.....

3. ორ თანამშრომელს ვეღარ მივიღებ სამსახურში, მხოლოდ ერთი ადგილი გვაქვს.

.....

4. ჩემ საწარმოში ადამიანის უფლებებს კარგად იცავენ.

.....

5. ნებისმიერი ნაკლის გამოსწორება შეიძლება, თუ პროდუქტი გაფუჭებული არ არის.

.....

6. დღეს გავიგე, რომ თქვენ საკითხს სპეციალური კომისია განიხილავს.

.....

ნაწილი 3**ეფექტური მონიტორინგი****3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ერთი ადამიანის სუბიექტური მიზანი.
2. -----	ერთმანეთთან დაკავშირებული, ურთიერთდაკავშირებული.
კომისია	3. -----
რეკომენდაცია	4. -----
5. -----	ერთიდან მეორე ეტაპზე გადასვლა რაღაც წესრიგის მიხედვით.

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	ყველა ორგანიზაციას მონიტორინგი არ სჭირდება.		✓
1	კონტროლის ერთ-ერთი მიზანი სტანდარტების დაცვაა.		
2	მონიტორინგი სისტემური საქმიანობაა.		
3	მონიტორინგი ორგანიზაციის ხელმძღვანელის თვითმიზანი უნდა იყოს.		
4	მონიტორინგმა ობიექტურად უნდა შეაფასოს ის, რაც ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია.		
5	დროული შემოწმება მონიტორინგის ერთ-ერთი ფუნქციაა.		
6	სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეები გამოცდამდე არ უნდა შემოწმდნენ.		
7	კლასში მოსწავლეთა შესამოწმებლად მონიტორინგი საჭირო არ არის.		
8	მონიტორინგის საშუალებით ინფორმაცია გროვდება.		
9	მონიტორინგის ანალიზი არ არის საჭირო სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.		
10	რეკომენდაციები მონიტორინგის შედეგად არ დგება.		

3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: ეფექტურიბ.....

ბ. ძლიერი ეფექტის მქონე.

1. საქმიანობის ხასიათი
2. ობიექტური ასახვა
3. დასწრება
4. წარმოჩენა
5. შერჩევა
6. ანალიზი

ა. სინამდვილის სწორი გამოხატვა.

ბ. ბევრიდან რაიმეს ამორჩევა.

- გ. რაიმე საქმიანობის დროს იქ ყოფნა, მაგალითად, გაკვეთილზე.
- დ. რომელიმე საქმიანობის თვისება, ბუნება.
- ე. იგივეა, რაც გამოვლენა, გამოჩენა, რაიმეს წინა პლანზე წამოწევა.
- ვ. აქ: მსჯელობა შეფასების მიზნით.

3.4. უპასუხეთ კითხვას ვინ? და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

ნიმუში: ვინ არის ის, ვინც ამოწმებს ან შეამოწმა?

.....*შემოწმებელი*.....

1. ვინ არის ის, ვინც მართავს?

.....

2. ვინ არის ის, ვინც კითხულობს?

.....

3. ვინ არის ის, ვინც ასაქმებს ან დაასაქმა?

.....

4. ვინ არის ის, ვინც ეძებს?

.....

5. ვინ არის ის, ვინც ყიდის ან გაყიდა?

.....

6. ვინ არის ის, ვინც ყიდულობს?

.....

7. ვინ არის ის, ვინც უსმენს?

.....

8. ვინ არის ის, ვინც აწარმოებს?

.....

3.5. გამოიყენეთ –თვის თანდებული და გამოტოვებულ ადგილას სწორად ჩაწერეთ მოცემული სიტყვები!

ნიმუში: ამ წესს თავისი*მიზნებისათვის*..... გამოიყენებს. [მიზნები]

1. ეფექტური კონტროლი აუცილებელია [მონიტორინგი]

2. ეს ჩვენი არამომგებიანი იქნება. [საწარმო]

3. საკუთარი ბრძოლაა საჭირო. [უფლებები]

4. ჩემი თანხა მაქვს გადასაცემი. [კრედიტორი]
5. ვალდებულების მართო სურვილი საკმარისი არ არის. [შესრულება]
6. სასწავლო ავეჯი შევიძინეთ. [დაწესებულება]
7. ენის სწორი მეთოდები გამოიყენეს. [სწავლება]
8. სჯობს, მოემზადო. [გამოცდა]
9. ცოდნის კომისიის მოწვევა არ დაგჭირდებათ. [შემოწმება]

3.6. გაასწორეთ შეცდომები!

ნიმუში: კრედიტორს თქვენს მიმართ არანაირი პრეტენზია არა აქვს.

.....თქვენ მიმართ

1. მოგახსენებთ, რომ თქვენს მიმართ ბევრი ბრალდებაა წამოყენებული.
.....
2. არ ვიცი, რას გრძნობთ ჩემს მიმართ.
.....
3. შენს მიმართ წაყენებულ პრეტენზიებს ჩემ წინააღმდეგაც გამოიყენებენ.
.....
4. გამომძიებელს ჩვენს მიმართ კითხვები არ აქვს.
.....
5. თქვენს მიმართ ავტობუსის მძღოლები პროტესტს გამოხატავენ.
.....

3.7. ააგეთ წინადადებები შემდეგი წყვილებით: *ჩვენ მიმართ; მათ მიმართ; მონიტორინგის მიმართ; კონტროლის მიმართ; მუშების მიმართ!*

ნიმუში: ...ბევრი გაცდენის მიმართ ადმინისტრაცია მკაცრად რეაგირებს...

1.
2.
3.
4.
5.

3.8. დააკვირდით დაფაზე გამოტანილ შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

ენა დაება — ენა აუბორძიკდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაპარაკდა.

ენა დაიმოკლა — ნაკლები, ცოტა ილაპარაკა, ან: სულ გაჩუმდა.

ენას კბილი დააჭირა — ხმა აღარ ამოიღო, ხმა გაკმინდა.

ენა მუცელში ჩაუვარდა — ხმა ვეღარ ამოიღო [შიშის ან სხვა განცდის გამო].

ნიმუში: ..ჩვენს თანამშრომელს **ენა დაება**, როცა მიხვდა, რომ მონიტორებმა ყველაფერი იცოდნენ...

1.

[ენა დაება]

2.

[ენა დაიმოკლა]

3.

[ენას კბილი დააჭირე]

4.

[ენა მუცელში ჩაუვარდა]

3.9. წაიკითხეთ ტექსტი და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

გაზაფხულის თბილი დღეები დაიწყო თუ არა, ჩვენმა კომპანიამ სამშენებლო სამუშაოები განაახლა. დირექტორის კაბინეტთან მუშაობის დაწყების მსურველთა დიდი რიგი დადგა. ყველა თავის გამოცდილებაზე ლაპარაკობდა. მხოლოდ ხნიერი კაცი იდგა ისე, რომ ყურადღებას არ იქცევდა.

— რა შეგიძლიათ? — ჰკითხა ბატონმა ზურაბმა თავდახრილ კაცს, როცა მისი ჯერი მოვიდა.

— მე... მე... ფიზიკოსი ვარ..., მშენებლობაზე არასდროს მიმუშავია..., —
..... მოხუცს და მუხლები აუკანკალდა.

დირექტორი ფეხზე მდგომს კარგად დააკვირდა და კითხვის დასმა ვეღარ შეძლო, თითქოს
..... მის წინაშე ბატონი თამაზი იდგა, გამბრდელი პროფესორი.

— დაბრძანდით, სკამზე ჩამოჯექით, — ვეღარ ჩერდებოდა ბატონი ზურაბი, — თქვენ აქ... რა... როგორ...?!

— სამი წელია პენსიაზე ვარ. მეუღლე გარდამეცვალა, სახლში გული აღარ მიჩერდება და, თუ რამეში გამოგადგებით..., — ამოილაპარაკა ბ-ნმა თამაზმა.

— ოთახი გაუმზადეთ, დღეიდან ელექტროგაყვანილობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს ბატონ თამაზს შეუთანხმებთ! — გასცა მითითება ბატონმა ზურაბმა და ფანჯარა ფართოდ გამოაღო.

თავი IV

მენეჯმენტის საკითხები

1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	მას მართვასაც უწოდებენ.
2. -----	პირი, რომელიც მოსწავლეს ან სტუდენტს ცდის.
ორგანიზაცია	3. -----
მონიტორინგი	4. -----
დაგეგმვა	5. -----

2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	გიორგის მაღალი ქულის მიღება სურს.	✓	
1	ბატონი ლადო მკაცრი გამომცდელი არ არის.		
2	პროფესორმა სტუდენტებს გამოცდის ფორმის არჩევა შესთავაზა.		
3	მაღალ ქულას ვერცერთი სტუდენტი ვერ დაიმსახურებდა.		
4	პროფესორმა სტუდენტებისგან მოკლე პასუხები მოითხოვა.		
5	მენეჯმენტის მიზანი მაქსიმალური შედეგების მიღწევაა.		
6	ორგანიზაცია არ არის მენეჯმენტის საფუძველი.		
7	ორგანიზაციას სჭირდება რესურსები.		
8	ორგანიზაციის არსებობისათვის მხოლოდ კაპიტალიც საკმარისია.		
9	წარმართებული მართვისთვის აუცილებელია მენეჯმენტის პრინციპების დანერგვა.		
10	მენეჯერმა შრომა თანამშრომელთა კვალიფიკაციის მიხედვით არ უნდა გადაანაწილოს.		
11	წარმართებული მენეჯმენტისათვის თანამშრომელთა მოტივაცია საჭირო არ არის.		
12	მონიტორინგი მენეჯმენტის ნაწილია.		

13	მენეჯერი მონიტორინგის შედეგების მიხედვით რეაგირებს.		
14	პროგნოზირება მენეჯმენტის ერთ-ერთი ეკონომიკური მეთოდია.		

3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: გამოცდაბ.....

ბ. ცოდნის შემოწმება.

1. მაღალი ქულა

2. არსი

3. შედეგი

4. კვალიფიკაცია

5. კადრი

6. დისციპლინა

ა. მთავარი აზრი, ძირითადი შინაარსი.

ბ. იგივეა, რაც რეზულტატი.

გ. წესრიგი.

დ. იგივეა, რაც მაღალი შეფასება, ნიშანი.

ე. აქ: დაწესებულებაში მომუშავე თანამშრომელს ჰქვია.

ვ. აქ: პროფესიული ცოდნა.

4. დაუსვით კითხვა და გამოყავით, რა აქვს საერთო ჩამოთვლილ სიტყვებს!

ნიმუში: პასუხისმგებლობა, უსაქმურობა, სტაბილურობა.

პასუხი:რა?.....ობა.....

1. ბედნიერება, წესიერება, გონიერება.

პასუხი:

2. საქმე, საცოლე, საფულე.

პასუხი:

3. საორგანიზაციო, სადავო, საკამათო

პასუხი:

4. მართული, დახარჯული, მოგებული.

პასუხი:

5. მოწინააღმდეგე, მომუშავე, მონაწილე.

პასუხი:

6. შედეგიანი, ფულიანი, ფასიანი.

პასუხი:

7. უშედეგო, უწესო, უაზრო.

პასუხი:

8. ბრძანებისამებრ, სურვილისამებრ, წესისამებრ.

პასუხი:

9. მმართველი, მსმენელი, მწარმოებელი.

პასუხი:

5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: ეს თანამშრომელი თავისი....*წესიერებით*..... გამოირჩევა. [წესიერება]

1. ამდენ ერთ დღეში ვერ გააკეთებთ. [საქმე]

2. ჩვენმა რეკომენდაციები უნდა გადმოგვიგზავნოს. [სამინისტრო]

3. ბევრმა გადამღალა. [სამუშაო]

4. კარგად ორგანიზაციას ფინანსურადაც დავეხმარებით. [მართული]

5. თანხას პრემიებადაც გადავანაწილებთ. [მოგებული]

6. კამათის ერთ-ერთმა თავისი აზრი ვერ დაასაბუთა. [მონაწილე]

7. ქალაქებს სეიფში შეინახავენ. [ფასიანი]

8. მაგ კიდევ დააგვიანა?! [უწესო]

9. ჩვენს საწარმოში ახალ დანიშნავენ. [მმართველი]

6. -ებ'იანი მრავლობითის ფორმები შეცვალეთ -თან'იანით!

ნიმუში: მენეჯერების გადაწყვეტილებით პროდუქციას მაღაზიებში ხვალიდან შევიტანთ.

....*მენეჯერთა* გადაწყვეტილებით პროდუქციას მაღაზიებში ხვალიდან შევიტანთ.....

1. მუშების პრეტენზიები უნდა გავითვალისწინოთ.

2. პროფესორების რჩევით გიორგიმ გერმანული ენის შესწავლა დაიწყო.

3. გამოცდის ფორმების განსაზღვრა ლექტორს ევალება.

4. მონიტორინგის შედეგების ანალიზი მომავლის დაგეგმვაში მეხმარება.

5. თანამშრომლების უფლებების დაცვა თქვენი მოვალეობაა.

6. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ ჩვენს საწარმოს წარმატება მოუტანა.

7. ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გუბერნატორი იბარებს.

8. გადაწყვეტილების მისაღებად განყოფილების უფროსების ხმები აუცილებელია.

9. ინფორმაციების გაცვლამ კარგი შედეგი მოიტანა.

10. ჩვენს საწარმოში მენეჯმენტის პრინციპების დანერგვა აუცილებელია.

7. უპასუხეთ კითხვებს მოცემული სიტყვების მიხედვით!

ნიმუში: რამდენ ხანს აპირებთ ჩვენს ქვეყანაში დარჩენას?

.... ერთ თვეს [ერთი თვე]

1. **რამდენი ხანია**, რაც სამეწარმეო საქმიანობა დაიწყეთ?

..... [ხუთი წელი]

2. **რამდენ ხანს** გაგრძელდება კრება?

..... [ორი საათი]

3. **როდინდელ** ამბავს მიყვებით?

..... [შარშანდელი]

4. ეს განცხადება **რამდენი ხნის წინ** დაწერეთ?

..... [ერთი დღე]

5. **რამდენი ხანია**, რაც დირექტორს ელოდებით?

..... [ნახევარი საათი]

6. **როდინდელმა** კონფლიქტმა გაგაბრაზათ ასე?

..... [გუშინდელი]

7. როგორ ფიქრობთ, **როდინდელ** დაგვიანებაზე მაგებიანებენ პასუხს?

..... [დღევანდელი]

8. შეგიძლიათ მითხრათ, **რამდენი ხანია**, რაც სამსახურში მოხვედით?

..... [ოცი წუთი]

8. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნა; უპასუხეთ კითხვას რას შვრებოდეს?

ნიმუში: თქვენი საწარმოს დოკუმენტებს ფინანსური პოლიცია უნდა*ამოწმებდეს*..... [ამოწმებს]

1. მენეჯერი თანამშრომლებს კვალიფიკაციის მიხედვით უნდა [არჩევს]

2. პროფესორი სტუდენტებს კარგ რჩევებს უნდა [აძლევს]

3. კარგი მათემატიკოსი ჩემზე უკეთესად უნდა [ანგარიშობს]

4. ეს საამქრო ცუდ პროდუქციას არ უნდა [ქმნის]

5. საწარმოს მოგებას მენეჯერი უნდა [გეგმავს]

6. ის თავის ქარხანას უკვე უნდა [აფართოებს]

7. ქალბატონი ნანა თავის კუთვნილ ხელფასს უნდა [ითხოვს]

8. ხელმძღვანელი პირი თანამშრომლებს უნდა [აფასებს]

9. დაუსვით კითხვები წინადადებებში მოცემულ ზმნებს!

ნიმუში: ისინი მე რჩევებს ხშირად მეკითხებიან.

.....*რას შვრებიან?*.....

1. უნივერსიტეტში ჯერ ბევრი რამ უნდა **ვისწავლო**.

.....

2. სტუდენტები მენეჯმენტის მეთოდებზე დიდხანს **კამათობდნენ**.

.....

3. ეს კაცი ავტომობილს კარგად **მართავს**.

.....

4. მოსწავლეებს ამ გაკვეთილს მე **ავუხსნი**.

.....

5. ეს საწარმო მე არ **გამიკონტროლებია**.

.....

6. საქართველოს ყველა მოქალაქე ქართულ ენას უნდა **სწავლობდეს**.

.....

7. ჩემმა მეგობარმა სამეწარმეო საქმიანობა **დაიწყო**.

.....

8. დამატებითი თანხა ჯერ არ **მიმიღია**.

.....

10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნა!

ნიმუში: გიორგი ლებანიძე ეკონომიკის ფაკულტეტზე**სწავლობს**..... [სწავლა; რას შვრება?]

1. მან უნივერსიტეტში ბევრი რამ [გაგება; რა ქნა?]

2. პროფესორებმა ლადო უნდა [გამოცდა; რა ქნა?]

3. ის გიორგის საწარმოს მართვის მეთოდზე [შეკამათება; რა ქნა?]

4. სტუდენტმა ერთმანეთისაგან ვერ მენეჯმენტის არსი და მისი საფუძველი.
[განსხვავება; რა ქნა?]

5. მე, რომ ეს ტყუილია. [დასაბუთება; რას ვიზამ?]

6. ბატონი თამაზი წარმოების გასაფართოებლად ბანკიდან სესხს [გამოტანა; რას იზამს?]

7. განყოფილების უფროსმა სამუშაო სწორად [გადანაწილება; რა ქნა?]

8. ვფიქრობ, რომ მან საწარმოს მოგება წინასწარ უნდა [დაგეგმვა; რა ქნას?]

11. ა) უპასუხეთ კითხვას რა უქნია?

ნიმუში: შეისწავლის — შეუსწავლია.

1. გააკონტროლებს —

6. დააფასებს —

2. შექმნის —

7. გაანაწილებს —

- | | |
|------------------------|----------------------------|
| 3. აუხსნის — | 8. მისცემს — |
| 4. იმეცადინებს — | 9. დაიმსახურებს — |
| 5. მოიფიქრებს — | 10. გაათავისუფლებს — |

ბ) ააგეთ წინადადებები ზმნებით: გაუკონტროლებია, გაუნაწილებია, შეუფასებია, გაუთავისუფლებია!

1.
2.
3.
4.

12. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები:

ა) ის, რომელიც // ის....., რომლებიც.....

ბ) თუ....., მაშინ // მაშინ, თუ.....

გ) ისე, როგორც..... // როგორც, ისე.....

ნიმუში: ...თუ მართვის სისტემა დემოკრატიულია, **მაშინ** ორგანიზაციაში თანამშრომლის უფლებები კარგადაა დაცული...

1. წაიყვანა საქმე, თავად სურდა.
2. სამექროს ბატონი გიორგი უხელმძღვანელებს, ყველაფერი კარგად იქნება.
3. იღებენ საჭირო გადაწყვეტილებას, ეს აუცილებელია.
4. მეთოდები, დირექტორმა გამოიყენა, ახალი დანერგილია.
5. ჩვენი პედაგოგი ამბობს, უნდა შევასრულოთ დავალებები.
6. სწრაფად გავიქეცი, შეშინებული ბავშვი.
7. მიიღო გადაწყვეტილება, მას უნდოდა.
8. ჩემთან შემოიყვანეთ მუშა, დააავგიანებს!
9. ხარისხიან პროდუქტს არ შევქმნით, ვერც გავყიდით მას.
10. საფუძვლიანია შენიშვნები, მონიტორინგის სამსახურმა მოგცათ.

13. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები: წინააღმდეგ, გარდა, გამო, ნაცვლად, შესახებ, მიმართ!

ნიმუში: თანამშრომლები თქვენ ...გამო.... დაისაჯნენ.

1. უნდა იცოდე, რომ კრებაზე შენ მე ვერ ვილაპარაკებ.
2. თქვენი გაცდენის მეც მომთხოვენ პასუხს.
3. ჩემი ფირმის გაყიდვის ფინანსურ პოლიტიკას შევატყობინე.
4. ორმა მუშამ საამქროს უფროსის ხმა არ მისცა.
5. მის პრეტენცია არა მაქვს.
6. დღეს ჩემ გიორგი იმუშავებს.
7. მართვის ფსიქოლოგიური მეთოდების აუცილებლად ვისაუბრებთ.
8. ცხრა საათამდე საწარმოში ჩემ არავინ დარჩება?!

14. შესიტყვებები შეცვალეთ სინონიმით!

ნიმუში: მენეჯერმა საქმეს ხელი მოჰკიდა.

ნიშნავს:მენეჯერმა საქმე დაიწყო.....

1. ნანამ მეგობარს ხელი შეუწყო.

ნიშნავს:

2. მან ეს საწარმო ხელში ჩაიგდო.

ნიშნავს:

3. მოწმემ ჩვენს თანამშრომელს ხელი დაადო.

ნიშნავს:

4. დედამ თავის შვილს ხელი დააფარა.

ნიშნავს:

5. გაოცებულმა ბიჭმა ენას კბილი დააჭირა.

ნიშნავს:

6. ქალს შიშით ენა მუცელში ჩაუვარდა.

ნიშნავს:

ნაწილი 1

სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმები

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა / შესიტყვება	მისი მნიშვნელობა
1. -----	ის გრძელვადიანი სამოქმედო პროგრამაა.
2. -----	ეწოდება სამოქმედო გეგმის კონკრეტულ ეტაპს.
გრძელვადიანი	3. -----
მოკლევადიანი	4. -----
კომპლექსური	5. -----

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	ნებისმიერ ორგანიზაციას სამოქმედო გეგმა სჭირდება.	✓	
1	სამოქმედო გეგმას მენეჯერები ამუშავებენ.		
2	მენეჯერები არ განსაზღვრავენ კომპანიის განვითარების მიმართულებას.		
3	არსებობს კომპანიის განვითარების სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმები.		
4	სტრატეგიული გეგმა მოკლევადიანია.		
5	ტაქტიკური გეგმა მხოლოდ გრძელვადიანია.		
6	სტრატეგიული გეგმა სამომავლო ამოცანებს ისახავს მიზნად.		
7	ტაქტიკური გეგმა მიმდინარე მიზნების შესრულებას გულისხმობს.		
8	კომპანიის სტრატეგიულ გეგმას კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა ახორციელებს.		
9	ტაქტიკური გეგმის შესრულება კომპანიის მხოლოდ ქვედა დონეს ევალება.		

10	ტაქტიკური გეგმა სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილია.		
11	სტრატეგიული მენეჯმენტი მეორადია.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: განვითარებაბ.....

ბ. მდგომარეობის შეცვლა უკეთესობისაკენ.

1. დამუშავება

2. კომპანია

3. სამომავლო

4. ამოცანა

5. მიმდინარე

6. ზედა დონე

ა. აქ: უმაღლესი ხელმძღვანელობა იგულისხმება.

ბ. მომავალში შესასრულებელი, შემდგომი (მაგალითად, გეგმა).

გ. აქ: დასახული მიზანი, გადასაწყვეტი საკითხი.

დ. აქ: რაიმე სამუშაოს ჩატარება, შესწავლა.

ე. რაც ახლა ხდება, ახლა მიმდინარეობს.

ვ. მსხვილი გაერთიანება, რომელსაც საერთო სავაჭრო ან საწარმოო მიზანი აქვს.

1.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	როგორი? [დადებითი ფორმა]	როგორი? [უარყოფითი ფორმა]
	სტრატეგიული	არასტრატეგიული
1	ტაქტიკური	
2	გრძელვადიანი	
3	კომპლექსური	
4	ადამიანური	
5	ეტაპობრივი	
6	ცენტრალიზებული	

7	ეფექტური	
8	ობიექტური	
9	ეკონომიური	
10	მომგებიანი	
11	კომერციული	

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

1. ნიმუში:არათანმიმდევრული საუბრის... გამო არავინ მოგისმინათ. [არათანმიმდევრული საუბარი]

2. თქვენს მაინც არ დაამტკიცებენ.
[არასტრატეგიული გეგმა]

3. მისგან არ მოველოდი.
[არაობიექტური შეფასება]

4. თქვენი წარმატებას ვერ მიაღწევთ.
[არაგრძელვადიანი მიზანი]

5. ჩვენს აუქციონზე გავყიდით.
[არაკომერციული ფართი]

6. შესაძლებელია ცუდი შედეგი გამოიღოს.
[არაეფექტური მონიტორინგი]

7. ვერავინ გაუძლებს.
[არაადამიანური შრომა]

8. ეს საწარმო თავისი გამო ველარ გაფართოვდა.
[არაეკონომიური ხარჯვა]

9. ყველა ახალი წლიდან დახურავენ.
[არამომგებიანი საწარმო]

1.6. ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები დააწყვილეთ ანტონიმებად!

სიკეთე, ბნელი, ნაკლები, ცა, მკვდარი, ახალი, თეთრი, ცარიელი, დედამიწა, ზღვა, მაგარი, ბოროტება, ხმელეთი, შავი, სავსე, ნათელი, ცოცხალი, ძველი, რბილი, მეტი.

ნიმუში: დასაწყისი — დასასრული

1. 6.

- | | |
|---------|----------|
| 2. | 7. |
| 3. | 8. |
| 4. | 9. |
| 5. | 10. |

1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: სტუდენტიიმ პროექტს წერდა, რომელიც პროფესორმა დაავალა. [ის პროექტი]

- სტრატეგიული გეგმა არა აქვს. [ეს ორგანიზაცია]
- რეგიონებში ორი ფილიალი გახსნა. [ეგ საწარმო]
- ჯერ მენეჯერები დაამუშავებენ. [ეს გეგმა]
- ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ. [ის ამოცანა]
- მე მგონია, არავინ არის კმაყოფილი [ეგ მენეჯერი]
- შარშან უფროსად დავინიშნე. [ის სამსახური]
- ძალიან გამიხარდა, როცა შესახებ შევითყვე. [ეგ წახალისება]
- ჩვენს ქარხანაში ბევრი რამ შეცვალა. [ეს ხელმძღვანელობა]
- კრებაზე განხილვას არ აპირებენ. [ეგ საკითხი]
- ყველა ფინანსური ვალდებულება შეასრულა. [ეს კომპანია]

1.8. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: **სხვაგან, ყველგან, ზოგან, ერთგან, ბევრგან!**

ნიმუში: დღეს ორგან ვარ წასასვლელი.

-
-
-
-
-

1.9. გამოთვებულ ადგილას ჩასვით -ვით, -ზე, -ში, -თვის, -კენ, -დან თანდებულები!

ერთ საღამოს, სახლ..... როცა ვბრუნდებოდი, დავინახე, რომ ჩემს ქუჩა..... დისტრიბუციის მანქანა იდგა. მანქანი..... ახალგაზრდა კაცებს მაღაზია..... შესატანი საქონელი გადმოჰქონდათ. უცებ მათ პატარა ბიჭი მიეპარა, საბარგული..... წვენი სასე ყუთი აიღო და გიჟი..... გაიქცა. ხმაური ატყდა. დისტრიბუტორებიც დაიბნენ, რაც ხელ..... ჰქონდათ, მიწა..... დააწყვეს და ბიჭს გამოეკიდნენ. ძალიან ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, რა მოხდებოდა. ცოტა ხანში გავიგე, რომ ის ბავშვი დაუჭერიათ, მაგრამ პოლიციის..... არ გადაუციათ, რადგან უდემამო ყოფილა.

1.10. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში:გეგმის შედგენას..... ჩვენს მენეჯერს დაავალებენ. [გეგმის შედგენა]

1. მუშები სიხარულით შეხვდნენ
[ხელმძღვანელის გადაწყვეტილება]
2. ჩვენი ყველა თანამშრომელი კმაყოფილი დარჩება.
[ორგანიზაციის განვითარება]
3. თქვენი გუშინ განცხადება დავწერე.
[მენეჯერის რჩევა]
4. დღევანდელ სხდომაზე განვიხილავთ.
[კომპანიის ბიზნესგეგმა]
5. თავისი განვითარების მიმართულება უნდა შეცვალოს.
[მართვის ზედა დონე]
6. ველარ დაველოდებით, თანხა დღესვე უნდა ჩარიცხოს!
[საქონლის რეალიზაცია]
7. ამ მეტი ფინანსები სჭირდება.
[მიზნის შესრულება]
8. უნივერსიტეტში ვსწავლობდი.
[მენეჯმენტის თეორია]

ნაწილი 2**სტრატეგიული გეგმა****2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

სიტყვა /შესიტყვება	მისი მნიშვნელობა
1. -----	მოვლენების დანახვა გრძელვადიან პერსპექტივაში.
2. -----	იგივეა, რაც არგუმენტირებული.
გონივრული	3. -----
მოფიქრებული	4. -----
ბაზარი	5. -----

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	სტრატეგიული გეგმა არ არის მენეჯმენტის მთავარი ფუნქცია.		✓
1	წარმატებული მენეჯმენტის საფუძველი სტრატეგიული გეგმის შედგენა და მისი განხორციელებაა.		
2	მენეჯერის მიერ შედგენილ გეგმას გონივრული განხორციელება არ სჭირდება.		
3	მენეჯერს შეუძლია სამოქმედო გეგმა არ მოიფიქროს და კომპანია ისე მართოს.		
4	სტრატეგიული გეგმის შედგენა ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია.		
5	მენეჯერმა უნდა ჩამოაყალიბოს, როგორ ხედავს თავისი კომპანიის მომავალს ბაზარზე.		
6	სწორად ჩამოაყალიბებული ხედვის გარეშე შეიძლება კომპანიის მართვა.		
7	მენეჯერმა უნდა იცოდეს, რომ მოკლევადიანი მიზნითაც მოიპოვებს წარმატებას.		
8	სტრატეგიული ხედვა ნიჭიერი ადამიანის უნარია.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: შემუშავებაბ.....

ბ. მუშაობის შედეგად რაიმე რეზულტატის მიღება, მაგალითად, გადაწყვეტილებისა.

1. მთავარი
2. განხორციელება
3. ჩამოყალიბება
4. უმნიშვნელოვანესი
5. წარმატება
6. უნარი

- ა. რაიმეს გაკეთება, შესრულება.
- ბ. უფრო საყურადღებო, მნიშვნელოვანი.
- გ. იგივეა, რაც ძირითადი.
- დ. წინსვლა, გამარჯვება.
- ე. იგივეა, რაც შესაძლებლობა.
- ვ. ზუსტი, გამოკვეთილი, ნათელი სახის მიცემა.

2.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და გამოიყენეთ –ოვან დაბოლოება!

ნიმუში: რა არის ის, რასაც **სრული ფასი**, დიდი ღირებულება აქვს?

.... სრულფასოვანი....

1. რა არის ის, რასაც **სურნელი**, ანუ კარგი სუნი, აქვს?
.....
2. რა არის ის, რასაც **ორი მნიშვნელობა**, ორი **აზრი** შეიძლება ჰქონდეს?
.....
3. რა არის ის, რასაც **მნიშვნელობა** აქვს და ღირებულია?
.....
4. ვინ არის ის, ვისაც კარგი **სახელი** აქვს, სახელგანთქმულია?
.....
5. რა არის ის, რასაც **მრავალი ფერი** აქვს, ანუ მრავალნაირია?
.....
6. ვინ არის ის, ვისაც **ასაკი** აქვს?
.....

2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები

ნიმუში: ჩვენი ქვეყნისმრავალსაუკუნოვან ისტორიას... ბევრი მტერი უნახავს. [მრავალსაუკუნოვანი ისტორია]

1. თავისი უფლებები კარგად უნდა იცოდეს.
[სრულწლოვანი მოქალაქე]
2. ავტობუსში ადგილი უნდა დავუთმოთ.
[ასაკოვანი ადამიანი]
3. ჩვენ მიერ გამოცემულმა დიდი პოპულარობა მოიპოვა.
[ორენოვანი გაზეთი]
4. მოგიწევთ, რომ თქვენი აზრი კარგად გააგებინოთ.
[მრავალრიცხოვანი აუდიტორია]
5. საქართველო გამორჩეული ქვეყანაა.
[მრავალფეროვანი ბუნება]
6. ხშირი დაგვიანება ქმნის.
[მნიშვნელოვანი პრობლემა]
7. ოფიციალურ დადგენილებაში შეტანა არ შეიძლება.
[ორაზროვანი წინადადებები]
8. მიღებამ თქვენს წინსვლას ხელი უნდა შეუწყოს.
[სრულფასოვანი განათლება]

2.6. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: *ერთმანეთი და ერთიმეორე!*

ნიმუში: ადამიანები *ერთმანეთს* მხარში უნდა დავუდგეთ.

1.
2.
3.
4.
5.

2.7. ა) პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: დაუნერგავს, დაუმაღლავს, დაუბამს, წარმოუთქვამს!

ნიმუში: მე დამიხატავს ჩვენ დაგვიხატავს
 შენ დაგიხატავს თქვენ დაგიხატავთ
 მას დაუხატავს მათ დაუხატავთ

მე დამინერგავს ჩვენ
 შენ თქვენ
 მას მათ

მე მომიკლავს ჩვენ
 შენ თქვენ
 მას მათ

ნიმუში: მე ჩამიცვამს ჩვენ ჩაგვიცვამს
 შენ ჩაგიცვამს თქვენ ჩაგიცვამთ
 მას ჩაუცვამს მათ ჩაუცვამთ

მე დამიბამს ჩვენ
 შენ თქვენ
 მას მათ

მე წარმომითქვამს ჩვენ
 შენ თქვენ
 მას მათ

ბ) გამოთოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები უარყოფით ფორმაში: არ ჩაგიცვამს, არ მიკითხავს, ვერ მოუპარავს, არ დაგვისახავს, არ წარმოუთქვამს!

1. კრება დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ ჩვენს დირექტორს სიტყვა ჯერ
2. რატომ ჩემი ნაყიდი კაბა?
3. კალათბურთის გუნდი წინა თვეში შევექმენით, ამიტომ სტრატეგიული გეგმა ჯერ

4. ოთახში შემოსულა, მაგრამ საბუთები
5. არაფერი ვიცი, შენი ამბავი

2.8. ააგეთ წინადადებები ფრაზით სხვათა შორის!

ნიმუში: სხვათა შორის, უკვე ორი წელია, რაც ამ ტექნოლოგიას ვიყენებთ.

1.
2.
3.

2.9. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: ისეთი..., როგორიც.... ; ისეთი..., როგორებიც!

ნიმუში: ...*ისეთი*... გეგმა, ...*როგორიც*... მას აქვს, ყველასთვის მისაღებია.

1. სამუშაო ვიშოვე, დიდი ხანია მინდოდა.
2. იშვიათია გამოცდილი მენეჯერი, თქვენ ბრძანდებით.
3. უსაფუძვლოა აზრები, მათ გამოთქვას.
4. თანამშრომლები, ჩვენს საწარმოში არიან, იშვიათად შეგხვდებით.
5. არ არის ხშირი შემოსავალი, მას აქვს.
6. მოძველდა ტექნოლოგიები, ქალაქის ამ ფაბრიკას აქვს.
7. ჯერ არ მინახავს მაღალტექნოლოგიური საწარმო, ჩემმა ახლობელმა დამათვალიერებინა.
8. საამაყოა ცოდნა, ბატონ დავითს აქვს.

2.10. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: ეს საქციელი*მათგან*.... მოულოდნელი არ იყო. [მათ]

1. ჩემი ბეჭედი არის დამზადებული. [ვერცხლი]
2. როცა წამოვედი, ჩემი თანამშრომელი შემხვდა. [თქვენ]
3. საბოლოო გადაწყვეტილებას ყველა ელოდა. [დირექტორი]
4. ძვირფასი ლამაზი სამკაულის გაკეთება შეიძლება. [თვლები]
5. ვერ მიხვდი, რა უნდა წამომეღო. [შენ]
6. მთავარია, რომ თქვენი რაიონის მომიტანოთ თანხმობა. [გუბერნატორი]
7. ხელოსანმა სათამაშო გააკეთა. [ხე]
8. გუშინ მითითებები მივიღეთ. [ხელმძღვანელი]

ნაწილი 3**კორექტირება სტრატეგიულ გეგმაში****3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

სიტყვა /შესიტყვება	მისი მნიშვნელობა
1. -----	ახლის შექმნის განსაკუთრებული ნიჭი.
2. -----	აქ: იგივეა, რაც სწავლა, შესწავლა.
უფრობის	3. -----
ამჯობინებს	4. -----
კორექტირება	5. -----

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ –ით!

N		სწორი	არასწორი
	სტრატეგიული გეგმის შემუშავებას შემოქმედებითი ნიჭი არ სჭირდება.		✓
1	თუ მენეჯერს მართვის უნარი არა აქვს, კომპანიას სირთულეები შეექმნება.		
2	ბაზარზე სიტუაცია არ იცვლება.		
3	მენეჯერმა სიტუაციის მიხედვით უნდა იმოქმედოს.		
4	სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანა არ შეიძლება.		
5	ნიჭიერი მენეჯერი სიახლეებს ვერ ითვისებს.		
6	მენეჯერი რისკზე არ მიდის.		
7	ნიჭიერ მენეჯერს შეუძლია კარდინალურად შეცვალოს სამოქმედო სტრატეგია.		
8	ყველა მენეჯერი ერიდება დიდ ცვლილებას.		
9	გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა ყოველთვის საჭიროებს კორექტირებას.		
10	მენეჯერმა უნდა განსაზღვროს, როდის უნდა შეცვალოს რაიმე სტრატეგიულ გეგმაში.		
11	კომპანიის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია კომპანიის განვითარებაზე.		

3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: აუცილებელიბ.....

ბ. იგივეა, რაც საჭირო.

1. სირთულე
2. სიტუაცია
3. ცვლილება
4. სიახლე
5. კარდინალური [ცვლილება]
6. გლობალური

ა. მდგომარეობა.

ბ. ძირეული, საფუძვლიანი.

გ. იგივეა, რაც წინააღმდეგობა, დაბრკოლება.

დ. იგივეა, რაც შეცვლა.

ე. ძალიან დიდი, მნიშვნელოვანი, საყოველთაო.

ვ. ის, რაც ახალია, თანამედროვეა.

3.4. შეავსეთ შესაბამისი უჯრები ისე, რომ გამოიყენოთ სიტყვა „ურთიერთ“!

N	რა?	რა?
	კავშირი	ურთიერთკავშირი
1	გაგება	
2	დახმარება	
3	თანამშრომლობა	
4	კონტროლი	
5	პატივისცემა	

3.5. გამოთქვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: კომპანიათა შორისურთიერთგაგებად..... სწორი გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო.
[ურთიერთგაგება]

1. მხარეებმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.
[ურთიერთთანამშრომლობა]

2. ოჯახის წევრებს შორის დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს.
[ურთიერთდახმარება]
3. ჩვენ შორის არსებული საფუძველზე ახალი დადგენილება მივიღეთ.
[ურთიერთშეთანხმება]
4. შეიძლება მხოლოდ სასიკეთო შედეგი გამოიღოს.
[ურთიერთპატივისცემა]
5. საქართველოსა და ევროპის მოსახლეობა კმაყოფილია.
[ურთიერთთანამშრომლობა]
6. წამყვან პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის ხელი არ უნდა შეეუშალოს.
[ურთიერთკავშირი]

3.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: ბატონი თამაზი ...*თქვენ პირდაპირ*.... დაჯდება. [თქვენ პირდაპირ]

1.
[ჩვენ პირდაპირ]
2.
[მათ პირისპირ]
3.
[პირდაპირ ვუთხარი]
4.
[უსამართლობის პირისპირ]
5.
[პირდაპირ დაჯდა]

3.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: *წინააღმდეგ, გამო, შესახებ!*

ნიმუში: ამ დადგენილების ...*შესახებ*.... გვიან გავიგე.

1. ჩემი ძმა ჩვენი გადაწყვეტილების დიდხანს არ მელაპარაკებოდა.
2. თქვენი კომერციული ფირმის ყველა ინფორმაციას ხვალ მომიტანთ.
3. სამსახურის გაცდენის საყვედური გეკუთვნით.
4. ისინი საწარმოს დირექტორის მოქმედებენ.
5. დიდი მოგების ხელფასს მოგვიმატებენ.

6. უპასუხისმგებლობის სამსახურს დაკარგავთ!
7. მისი შვილის ავადმყოფობის გვიან გავიგე.
8. ამ სტრატეგიული გეგმის ვერაფერს ვიტყვი.

3.8. დააკვირდით დაფაზე გამოტანილ შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

ხმა გაკმინდა — სულ გაჩუმდა, მისი ხმა შეწყდა.

ხმა მისცა — ვიღაც ან რაღაც აირჩია.

პირში წყალი დაიგუბა — გაჩუმდა, აღარაფერი თქვა.

სიტყვა პირზე შეაშრა — უეცრად ველარაფერი თქვა (რაიმე განცდის გამო, მაგ., შიშით, გაოცებით...)

ნიმუში: შემეშინდა, ბავშვისთვის არაფერი ეთქვათ და **ხმა გაკვმინდე**.

..... [ხმა მივეცი]

..... [პირში წყალი დაიგუბა]

..... [სიტყვა პირზე შეაშრა]

3.9. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

დღის ორ საათზე კორპორაციის კრება იყო დანიშნული. უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა. ხელში ჩემი შედგენილი ბიზნესგეგმა მეჭირა და გული ძლიერ მიცემდა. ვხვდებოდი, რომ ეს პირველი გამოცდა იყო, ცხოვრების ნამდვილი გამოცდა. დარბაზი თანამშრომლებით გაივსო და უცებ გავიგონე: დაიწყეთ!

ყველამ, სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ფეხზე წამოვდექი და ბიზნესოპერაციების დასაბუთება დავიწყე. დიდხანს ვლაპარაკობდი და, როცა სიტყვა დავამთავრე, დარბაზს გადავხედე.

— ეს რა გეგმა იყო! — წამოიყვირა ვიღაცამ დარბაზის შუაგულიდან.

— ბელგიურ კომპანიას უკვე მოველაპარაკე, სამ მილიონ დოლარ ინვესტიციას ჩადებენ, თუ თქვენგან თანხმობას მივიღებ, — მივმართე შეკრებილებს. ეტყობა, ამას არავინ ელოდა. ჩემს მოწინააღმდეგესაც გაოცებისაგან

— კენჭი ვუყაროთ, — განაგრძო სხდომა თავმჯდომარემ. მე გარეთ გამოვედი და ჩემი ოთახისაკენ წავედი. ცოტა ხანში ბ-ნი დავითიც შემოვიდა.

— შენს პროექტს 47-მა თანამშრომელმა, მხოლოდ ერთი იყო წინააღმდეგი, — მითხრა მან და მამაშვილურად გამიღიმა.

თავი VI

ფინანსური მენეჯმენტი

ნაწილი 1

ფინანსების არსი

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა /შესიტყვება	მისი მნიშვნელობა
1. -----	იგივეა, რაც თანხა, ფასიანი ქაღალდი.
2. -----	კანონით დაკისრებული ფულადი ვალდებულება.
სესხი	3. -----
პროდუქცია	4. -----
ფულის ბრუნვა	5. -----

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	ნებისმიერი კომპანია ფულთანაა დაკავშირებული.	✓	
1	კომპანია ფულით ყიდულობს მასალებს, ნედლეულს და ა. შ.		
2	კომპანია ფულით არ ყიდულობს იმას, რაც სჭირდება.		
3	ორგანიზაციაში ფული ბრუნავს.		
4	ფულის ბრუნვა მხოლოდ მის გაცემას ნიშნავს.		
5	ფულის მიღებასა და გაცემას შორის სხვაობა ყოველთვის დადებითია.		
6	სხვაობა დადებითია, როცა მიღებული თანხა მეტია გაცემულზე.		
7	სხვაობა უარყოფითია, როცა მიღებული თანხა ნაკლებია გაცემულზე.		
8	ფინანსური რესურსები ორგანიზაციის ფულს ეწოდება.		
9	ორგანიზაციის ფულით ფინანსური ოპერაციები არ სრულდება.		
10	ტერმინი „ფინანსები“ გერმანიაში წარმოიშვა.		
11	ტერმინი „ფინანსები“ ძველად ფულის გადახდას ნიშნავდა.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: დაკავშირებულიბ.....

ბ. ვინმესთან ან რამესთან კავშირში მყოფი.

1. ქირაობს
2. ჯამი
3. სხვაობა
4. ფინანსური რესურსები
5. ფინანსური ურთიერთობა
6. ტერმინი

ა. ის საერთო რაოდენობას ნიშნავს.

ბ. ფულადი ოპერაცია სხვადასხვა ორგანიზაციას შორის.

გ. აქ: ხელფასის სანაცვლოდ სამუშაოდ აჰყავს.

დ. იგივეა, რაც განხვევება, სხვადასხვაობა.

ე. სხვადასხვა დარგისთვის დამახასიათებელი სიტყვა.

ვ. იგივეა, რაც ფულადი საშუალება, თანხა.

1.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რას იზამს?	როგორი?
	დააკავშირებს	დაკავშირებული
1	გაანათლებს	
2	დააოჯახებს	
3	დაიწყებს	
4	დაარეგულირებს	
5	დაიცავს	
6	განსაზღვრავს	
7	შეამოწმებს	
8	გააფორმებს	
9	დააწესებს	
10	დაასაქმებს	

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ორგანიზაციადასაქმებულ პირს... ხელფასს უხდის. [დასაქმებული პირი]

1. სწორი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს.
[განათლებული ადამიანი]
2. თავისი ვალდებულებები კარგად უნდა ესმოდეს.
[დაჯახებული მამაკაცი]
3. აუცილებლად გავაგრძელებთ თქვენ მიერ
[დაწყებული საქმე]
4. ჩვენი საწარმოს მიერ უნდა გაეცნოთ.
[დარეგულირებული წესები]
5. ხელშეკრულებით დირექტორი სამსახურიდან ვერ
გაათავისუფლებს. [დაცული პირი]
6. ისინი ბანკში შეიტანენ. [განსაზღვრული თანხა]
7. თქვენ მიერ სამინისტროში წავიდეს.
[შემოწმებული საბუთები]
8. ნაცვლად გაუფორმებელი მომიტანეს.
[გაფორმებული დოკუმენტი]

1.6. ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები დააწყვილეთ სინონიმებად!

ჩქარა, გონება, ბაბუა, ბინძური, გარდაიცვალა, ღარიბი, ბრძანეთ, მეფე, მტყუანი, ეშმაკი, მალე, მოკვდა, მონარქი, უქონელი, პაპა, ცბიერი, თქვით, ჭკუა, ჭუჭყიანი, მატყუარა.

ნიმუში: ბრუნვა — ტრიალი

- | | |
|---------|----------|
| 1. | 6. |
| 2. | 7. |
| 3. | 8. |
| 4. | 9. |
| 5. | 10. |

1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!**ნიმუში:** ...ამისთანა პატიოსან... კაცს უნდა გავუფრთხილდე. [ამისთანა პატიოსანი]

1. მეონე თანამშრომელი არა გვყავს. [ამნაირი გამოცდილება]
2. ვერც ვინატრებდი. [ამგვარი სამსახური]
3. მე არ ვენდობი. [მაგისთანა მეზობელი]
4. ჩვენს ორგანიზაციაში მალე შემოიღებენ, რომ ველარავინ დაავიანებს. [იმგვარი წესები]
5. ჯერ არ გვყოლია. [ამგვარი მენეჯერი]
6. თანამშრომელთა ყოველთვის მოსდევს პროტესტი.
[ამისთანა დაჩაგვრა]
7. მარტო ვერ გადავწყვეტ. [მაგვარი ამოცანები]
8. თქვენ შესახებ მესაუბრებით, კომენტარს ვერ გავაკეთებ.
[იმისთანა საქმე]
9. ყველა გაგვაკვირვა. [ამგვარი შედეგი]
10. კრებაზე ვერ წარვდგებით, უკეთესი შეადგინეთ! [ამნაირი გეგმა]

1.8. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რა?	როგორი?
	შრომა	შრომიტი
1	მოსვენება	
2	შედარება	
3	განმეორება	
4	დამატება	
5	დაწყება	
6	აღმზრდელობა	
7	შემთხვევა	

1.9. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: ...თქვენს მოხსენებით ბარათს ხვალინდელ სხდომაზე განვიხილავთ...

[მოხსენებითი ბარათი]

1.
[შრომითი ვალდებულება]
2.
[განმეორებითი გამოცდები]
3.
[დამატებითი ინფორმაციები]
4.
[დაწყებითი სკოლები]
5.
[წერილობითი დოკუმენტები]
6.
[უარყოფითი მოვლენები]

1.10. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები; უპასუხეთ კითხვებს: როდიდან როდემდე? საიდან სადამდე?

ნიმუში: დილის ...ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდე... ქუჩაში ვიდექი და შენ გელოდებოდი. [ცხრა საათი — თერთმეტი საათი]

1. შეუსვენებლად ვიმუშავე. [გაზაფხული — შემოდგომა]
2. დღეს დიდხანს მოგიწევთ ლოდინი, არ მცალია. [სამი — ხუთი]
3. ასეთ პატარა ბავშვს საბავშვო ბაღში ვერ დავტოვებ. [დილა — საღამო]
4. ახალი გზა უნდა გაიყვანონ. [თბილისი — ქუთაისი]
5. ჩვენი ავტობუსის დანიშვნას აპირებენ. [სოფელი — ბოლნისი]
6. არ ვიცი, ასეთი ავტომობილით როგორ მოძრაობთ [ქალაქი — ქალაქი]
7. ვანომ სოფელში იცხოვრა. [13 წელი — 17 წელი]
8. მთავარი ჩემ პატარა მანძილია. [გზა — სახლი]

ნაწილი 2**ფინანსური მენეჯმენტის არსი****2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

სიტყვა /შესიტყვება	მისი მნიშვნელობა
1. -----	საწყისი კაპიტალი.
2. -----	იგივეა, რაც აუცილებელი.
ხანგრძლივობა	3. -----
სამუშაო ძალა	4. -----
რეგულარული	5. -----

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	ფინანსების მართვა საწარმოს მართვის ნაწილია.	✓	
1	ფინანსური მენეჯმენტი ფულადი რესურსებისა და ფინანსური ურთიერთობების მართვაა.		
2	ბიზნესში ადვილია ფულადი რესურსების მართვა.		
3	ბიზნესი არ არის დამოკიდებული ფულად რესურსებზე, თანხის ბრუნვაზე.		
4	ფინანსური მენეჯერის ფუნქცია ფულადი რესურსების მართვაა.		
